ცნობის ფურცელი

№ 2282 შაბათი 4 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2282

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ავლაბრის ახალი თეატრი

შაბათს, 4 სექტემბერს, 1903 წელს **ავლაბრის ახალ თეატრში**
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

პატარა კახი

ისტ. დრამა 5 მოქმ. აკაკისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ყიფიანი, ნებიერიძე, ა. რონელი, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

დასაწყისი 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მზადდება წარმოსადგენად „ორი ობოლი“. რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
შაბათს, 4 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

ფაუსტი

ოპერა 5 მოქმედებად, მუსიკა გუნოსი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: კალილინა, ლელინა; ბ-ნნი: ფიგნერი, გლადკოვი, სანგურსკი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 5 ოქტომბ.—„ციხე ზა ცარია“—გლინკასი; 6 ოქტ. იაფ-ფასიანი წარმოდგენა „რუსალკა“, დარგომიჟსკისა; მზადდება წარმ. „ფრანჩესკო და რიმინი“, ნაპრავნიკისა. (ნ.)

სია

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. წევრთა, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული.

№№	სახელი და გვარი	მან.	კ.
322	ეფემია ბ. ხელთუბლიშვილისა	6	—
323	ნინო პლ. მიქელაძისა	6	—
324	კონსტანტ. მ. შნეიდერი	6	—
325	მარიამ მ. ლოლობერიძისა	6	—
326	დავით ბ. ლოლობერიძე	6	—
327	ნიკოლოზ მ. მელიქიშვილი	6	—
328	ლეონიდე ივ. მაყაშვილი	6	—
329	სოფიო დ. ჩხატარაშვილისა	3	—
330	ნატალია ალ. ლორთქიფანიძისა	2	—
331	ალექსი ქილაშვილი	6	—
332	ალექსი მირიანაშვილი	6	—
333	იაკობ მანსვეტოვი	6	—
334	ხასაი უშიაშვილი	6	—
335	იაკობ ზედგინიძე	6	—
336	ალექსანდრე გ. გაბაშვილი	6	—
		83	—
	სულ წლის განმავლობაში.	2486	35

ქ. ქუთაისში

ექიმი გაბრიელ იოსების ძე

გოკიელოვი

გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარს სახლში. ავადმყოფებს იღებს დილის 9—12 საათამდე, საღამოთი 5—7-დის. 7 საათიდან ელექტრონით წამლობა. (20—ნ.—19)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ბრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი** № 274.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე-

საზღვარ-გარედ

იაპონია. კორეიაშიაც ყველა ომს ელის თურმე. კორეიელები დარწმუნებულნი არიან, რუსეთსა და იაპონიას უსათუოდ ომი მოუვათო, ეგ არის, არ იციან, როდის მოხდება ეს ომი. კორეიაში 30 ათასი იაპონელი ცხოვრობს. ესენი უმთავრეს როლს თამაშობენ კორეის ვაჭრობასა და მრეწველობაში. ამათ ყველას ომი სწყურიანთ რუსეთთან. აქაური იაპონელები იმ აზრისანი არიან, რომ იაპონიამ უსათუოდ ომი უნდა გამოუცხადოს რუსეთსაო; ესენი დარწმუნებულნი არიან, რომ იაპონია უსათუოდ დასძლევს რუსეთსაო და რუსებს კორეიდანა და მანჯურიიდან სამუდამოდ გაჰრეკავსო; ესე თუ არ მოიქცა, კორეიაც ხელიდან წაუვა იაპონიასაო.

ინგლისი ყველაფერში მხარს აძლევს იაპონიას და იმის ინტერესებს ჩინეთსა თუ კორეიაში ბეჯითად იცავს. იაპონიას შეერთებულ შტატების დახმარების იმედიცა აქვს. გერმანია განზე დგას და არც იაპონიას ეხმარება, არც რუსეთს.

ბევრი იმ აზრისაა, რომ იაპონიასა და რუსეთს უსათუოდ ომი მოუვათო. მაგრამ ბევრი კიდე სულ სხვანაირად უყურებს საქმეს და დარწმუნებულია, რომ რუსეთი და იაპონია მორიგებით გაათავებენ სადავო საქმესაო. ფრანგული გაზ. „ტან“-ი სწერს: იაპონია და რუსეთი უსათუოდ მორიგდებიან, კორეის თაობაზე ახალ ხელ-შეკრულობას დასდებენ და საქმეს ამით გაათავებენო.

ასე იქნება თუ ისე, ორივ სახელმწიფო მაინც მხნედ ემზადება ომისათვის. ჯარიცა და ფლოტიც ორივეს დამზადებული ჰყავს. „რუსკი ინვალიდ“-ში შემდეგი ცნობაა დაბეჭდილი იაპონიის ჯარზე: „მშვიდობიანობის დროს იაპონიას 8,100 ოფიცერი ჰყავს და 133, 500 ჯარის-კაცი. ომის დროს იაპონიას შეუძლიან, გამოიყვანოს—10,750 ოფიცერი და 348 ათასი ჯარის კაცი; იაპონიას სათადარიგო ჯარიცა ჰყავს: 2,800 ოფიცერი და 265 ათასი ჯარის-კაცი; ამას გარდა, კიდევ 50 ათასი სათადარიგო ახალი ჯარი-კაცის (რეკრუტი) ჰყავს“.

ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ იაპონიის ჯარი და ფლოტი ღირსებით არც ერთ სახელმწიფოს ჯარსა და ფლოტს არ დაუვარდება. იაპონიის ჯარმა ჯერ 1894 წელს ომის დროს ჩინეთში ისახელა თავი და მერე კიდევ 1900 წელს იმავ ჩინეთში ყველა მოკავშირენი გააკვირვა: იაპონელები სწრაფად მივიდნენ პეკინში, ყოჩაღად იბრძოდნენ, დისციპლინას მშვენივრად იცავდნენ და დამარცხებულებსაც კაცურად და ლმობიერად ექცეოდნენ. იაპონიის ჯარი კარგადაა შეიარაღებული და ტანსაცმელიც კარგი აქვს. ერთის სიტყვით, იაპონია კარგად დაუხვდება და საკადრისს პასუხს გასცემს ყოველ დიდ სახელმწიფოს.

მაკედონია. ოსმალეთის ხონთქარს აბდულ-ჰამიდს ამას წინად საფრანგეთის საზღვაო მინისტრად ნამყოფი ლოკრუა აუდიენციაზე მიუღია. აუდენციის დროს, სხვათა შორის, მაკედონიის საქმეზეც ჩამოვარდნილა ლაპარაკი. ამ აუდენციის ამბავი გაზეთ „ფიგარო“-შია აწერილი. „ფიგარო“-ს კორესპონდენტი სწერს:

„ნაშუადღევს $1^1/_2$ საათი იქნებოდა. პირველმა კამერჰერმა ლოკრუა, საფრანგეთის ელჩი კონსტანი და ამათი მეუღლეები ხონთქართან შეიყვანა. ხონთქარმა თავისი სტუმრები ევროპიულად მორთულ პატარა დარბაზში მიიღო. ხონთქარი ადგა, ქალებს პატივისცემით დაუკრა თავი, ყველას სთხოვა, დაბრძანდითო და თითონაც სავარძელზე დაჯდა. სავარძლის გვერდით პატარა სტოლი იდგა; სტოლზე ყავის ფინჯნება ეწყო და პაპიროზები ელაგა. ხონთქარმა ყველა სტუმარს, ქალებსაც კი, სთხოვა ყავა მიირთვითო და პაპიროსები უთავაზა. ხონთქა-

ფელეტონი

შრომის ბაზარი
III
შრომის ბირჟები ევროპაში

ევროპაში ქალაქის თვით-მმართველობის სამოქმედო ასპარეზი ძალიან ფართო და მრავალ-მხრივია. იქაური ქალაქი, ასე ვთქვათ, წარმოადგენს პატარა სახელმწიფოს, რომელიც ცდილობს თავისი ადგილობრივი საქმეები და მოთხოვნილებანი თავის თავად მოაწყოს და დაიკმაყოფილოს. არ არის თითქმის არც ერთი ისეთი მხარე საზოგადოებრივ ცხოვრებისა, რომელიც ევროპის ქალაქის თვით-მმართველობას თავის მოღვაწეობის ფარგალში არ შეჰქონდეს და მის მოწყობასა და სწორე მსვლელობის კალაპოტში ჩაყენებას არ ცდილობდეს. იგი ზრუნავს არა თუ ქალაქის ჰიგიენურად და ლამაზად მომართვაზე, არამედ სოციალურ ურთიერთობათა განკარგებაზედაც. ამ უკანასკნელ ხანებში **ქალაქმა შრომის ბაზრის მოწესრიგებაც თავის მოქმედების საგნად გაიხადა** და ამ ეკონომიურ საკითხის მოგვარებაში წინანდელთან შედარებით დიდი რეფორმა და გაუმჯობესება შეიტანა. ამისი ინიციატივა და თავოსნობა ყველაზე ადრე, როგორც წინად მოვიხსენიეთ, პარიზმა დაიწყო და ცხოვრებაშიაც მანვე განახორციელა.

1887 წელს პარიზის თვით-მართველობამ დაუთმო მუშების სინდიკატებს (კავშირებს), განურჩევლად მრეწველობის დარგისა, **სახლი**, საცა იმათ შეეძლოთ თავისუფლად შეკრებილიყვნენ, თავიანთ საქმეებზე ეფიქრათ და, სხვათა შორის, უსაქმოდ დარჩენილ მუშებისთვის სამუშაოს მოპოების საქმე მოეწყოთ და გაეადვილებიათ. ამ დაწესებულებას თავიდანვე დაერქვა **შრომის ბირჟა** (Bourse du travail). აქ იკრიბება ცნობები მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგებში თავისუფალ ადგილების შესახებ და ინიშნებიან რიგ-რიგად წიგნებში ყველა ისინი, რომლებსაც საქმე არა აქვთ დ სამუშაოს ეძებენ. ამნაირად თავისუფალი მუშა მაშინვე იქ იგზავნება, საცა მუშა-ხელის მოთხოვნილება და საჭიროება არის. პირველად შრომის ბირჟისთვის დათმობილი სახლი შემდეგში საკმარისი არ გამოდგა დ ქალაქმა ააშენა ამისთვის ახალი უზარმაზარი შენობა, რომელიც 2 მილიონი ფრანკი დაჯდა. სახლი შეიცავს 150-ზე მეტ ოთახს. ქვევითა სართულში არის მოთავსებული დიდი ზალა კრებებისთვის, რომელიც 3 ათას სულს თავისუფლად დაიტევს. გარდა ამისა არის შიგ მდიდარი ბიბლიოთეკა და კანსაკუთრებული დარბაზი, რომელშიაც უსაქმოდ მყოფ მუშებს მთელი დღის განმავლობაში (ღამის 12 საათამდი) დარჩენა და წიგნებისა და გაზეთების კითხვაში დროს გატარება შეუძლიათ. პარიზის შრომის ბირჟას აქვს საკუთარი ჟურნალიც, რომელსაც ეწოდება: „Bulletin de la Bourse du Travail“. ხარჯების დასაფარავად ქალაქი აძლევს ბირჟას 50000 ფრანკს სუბსიდიას წლიურად.

ამნაირად პარიზის შრომის ბირჟა არის მუშების სახლი და მისი მართვა-გამგეობაც იმათ ხელშია. აქ პოულობენ უადგილო მუშები სამუშაოს და კრებების გასამართავ ბინას. მაშასადამე, ეს არის ადგილი ეკონომიურ ინტერესების დასაცავად და პოლიტიკურ აგიტაციის გასამართავად. 1893 წელს დიუპუის სამინისტრომ სწორედ პოლიტიკურ აგიტაციის მიზეზით შრომის ბირჟა დახურა. დახურული იყო 1896 წლამდი, როცა ბურჟუას რადიკალი სამინისტრო შესდგა, რომელმაც ხელ-ახლად დართო გახსნის ნება. პარიზის მაგალითს საფრანგეთის სხვა ქალაქებმაც მიჰბაძეს და დღეს საფრანგეთის ყოველ მოდიდო ქალაქში არის თითო შრომის ბირჟა დაარსებული, რომელსაც სუბსიდია და დახმარება ქალაქის თვით-მართველობისაგან ეძლევა.

როგორც ხედავთ, საფრანგეთის შრომის ბირჟა არ არის წმინდა კომუნალური ანუ საქალაქო დაწესებულება. ქალაქი აძლევს მხოლოდ ფულით დახმარებას, საქმეების მართვა-გამგეობა და მოწყობა-კი მუშების ფერაინების ანუ სინდიკატების ხელშია.

ისეთი ბირჟები-კი, რომელთ დამაარსებელი და გამგებელი ქალაქია, არსებობს შვეიცარიაში და განსაკუთრებით მრავალთ-მრავალი გერმანიაში. პირველად 1887 წელს შრომის ბირჟა დააარსა სენ-გალენმა, შემდეგ წელში ბერნმა და ბაზელმა. აქედან ასეთი ბირჟები გავრცელდა გერმანიაში,—ჯერ შტუტგარტში, მერე მიუნხენში და შემდეგ თანდათან ბევრ სხვა ქალაქებშიაც. ბირჟების გამრავლება-გავრცელებას ძალიან ხელს უწყობს და ეხმარება თვითონ მთავრობაც. მაგალითად, 1894 წელს ვიურტემბერგის სამინისტრომ შრომის ბაზრის მდგომარეობის შესახებ გამოკვლევა მოახდინა და შრომის ბირჟების დაარსების საჭიროება და სარგებლობა საყოველთაოდ გამოაცხადა და თავის მხრით ქალაქებს დახმარება აღუთქვა. ასევე ბავარიისა და პრუსიის სამინისტროებმა გამოსცეს ცირკულიარები და წინადადება მისცეს საქალაქო თვით-მართველობათ, რომ, საცა კი შესაძლებელი და მოსახერხებელი იქნება, შრომის ბირჟები გამართონ და აწარმოვონ.—ამ ბოლო დროს ქალაქები ხშირად აარსებენ შრომის ბირჟებს ავსტრიაშიაც. ვენას, პრაგას, ბრიუნს, ლემბერგს, გრაცს, რაიხენბერგს, კრაკოვს, ტეჩენს უკვე აქვთ ასეთი ბირჟები დაარსებული. ამათში ზოგი ადრინდელია, ზოგიც სულ უკანასკნელ ხანებში დაწესებული. მაგალ., ვენის შრომის ბირჟა დააარსა ერთმა ფერაინმა 1885 წელს. 1898 წლამდი ეს ბირჟა ფერაინის ხელში იყო, ხოლო აღნიშნულ წელს ქალაქმა მიიღო და მას შემდეგ თვითონ მართავს და აწარმოებს.

საქალაქო **შრომის ბირჟის შინაგან მართვა-გამგეობის** გასაცნობად საკმარისია თვალი გადავავლოთ ერთ-ერთს ამგვარ დაწესებუ-

რი მარტო ოსმალურად ლაპარაკობს; იმის ნალაპარაკევს თარჯიმანი უთარგმნიდა ფრანგ სტუმრებს. ხონთქარმა სთქვა: „ყველაზე ძლიერ მშვიდობიანობა მწადიან; თუ არ მაიძულებენ, არას დროს არ ვიომებ. იმედი მაქვს, ისე საქმეს არ გამიჭირებენ, რომ ომი დაიწყო და მშვიდობიანობა დავარღვიო... მაკედონიაში არაფერი რევოლიუცია არაა. იქ გარეშე სახელმწიფოს გავლენამ მხოლოდ ბოლგარები გაიტაცა და აჯანყა; ეს აჯანყება მალე მოისპობა“. ხონთქარმა დაუმატა: ძლიერ ვნანობ, რომ ჩემი ჯარის-კაცები ხალხს ცუდად ექცეოდნენ; ბრძანება გავეცი, რომ ყველგან სამხედრო საბჭოები დაწესდეს იმათ დასასჯელად, ვისაც ტყუილ-უბრალოდ მხეცობა ჩაუდენია. ხონთქარმა სთქვა: „ვიცი, რომ ყოველ ჯარში არიან ასეთი გულქვავი ჯარის-კაცები და აჯანყების მოსპობის დროს თითქმის ყველგან ხდება ასეთი ამბები; მე ისა მწყინს, რომ ჩვენ ხალხს უფრო გულქვავ და ბოროტ ხალხად სთვლიან, ვიდრე სხვებს. ხომ იცით, მუდამ ჩვენ ფანატიზმზე ლაპარაკობენ. განა დაამტკიცა ვინმემ, რომ მუსულმანები უფრო ფანატიკოსები იყვნენ, ვიდრე ქრისტიანები? ესპანიამ რომ მავრებს აჯობა, ყველა ტყვე-მავრს თავსა ჰკვეთდნენ, დანარჩენს კიდევ სამშობლოდან სდევნიდნენ. მთავრობამ არც ერთი მუსულმანი მავრი აღარ დასტოვა ესპანიაში. მე კი... მე მაკედონელ ბოლგარებს სკოლები დავუარსე და ეგზარხი გავუმწესე“. ამ სიტყვების შემდეგ ხონთქარი ადგა და სტუმრები თავის კოლექციების სანახავად წაიყვანა.

ახალი ამბავი

◆ მთავარ-მართებლის ბრძანებით, **გამოიცა ახალი წესები იმ თავად-აზნაურთა საყურადღებოდ**, რომელნიც სახელმწიფო ხარჯზე აძლევენ შვილებს კავკავისა და შიდა რუსეთის სხვა კადეტთა კორპუსებში, თხოვნები შვილების მიღებაზე იმ თავად-აზნაურთ, რომელნიც მსახურებენ ან მსახურებდნენ, უნდა გამოუგზავნონ საოლქო შტაბის მეოხებით მთავარ-მართებელს. იმ თავად-აზნაურთ-კი, რომელნიც არა მსახურებენ ან მსახურებდნენ, უნდა თხოვნები გადასცენ ადგილობრივ გუბერნატორებს უსათუოდ 1 სექტემბრიდან 1 თებერვლამდე. სხვა დროს მიღებულ თხოვნებს უყურადღებოდ დასტოვებენ. ამ თავად-აზნაურთა თხოვნებს თან შემდეგი ქაღალდები უნდა ახლდეს: 1. დაბადებისა და მონათვლის მოწმობა: 2. დეპუტატთა საკრებულოს მოწმობა; 3 პოლიციის მოწმობა მთხოვნელის ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობის შესახებ. ამ მოწმობაში დაწვრილებით აღნიშნული უნდა იყოს რამდენი წევრი ჰყავს ოჯახს, ვინ ინახავს სად სწავლობენ ბავშვები და სხვა; 4. ექიმის მოწმობა ჯანმრთელობისა და ყვავილის აცრის შესახებ; 5. ხელწერილი მთხოვნელისა იმის შესახებ, რომ ბავშვს წაიყვანს უკანვე კორპუსიდან, თუ სასწავლებლის მთავრობამ მოითხოვა ესა. მთხოვნელმა უნდა აცნობოს აგრეთვე, სად სწავლობდა ბავშვი და რომელ კლასში უნდა, რომ მიიღონ. ამასთან მოსამზადებელ კლასში იღებენ მხოლოდ იმათ, ვინც რუსულად იცის კითხვა, წიგნიდან დაბეჭდილის გადაწერა და უსაჭიროესი ლოცვები.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ კავკასიის მთავარ-მართებელმა **არ დაამტკიცა ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა** წინამძღოლად არჩეული თავ. კონსტანტინე ერისთავი. მთავარ-მართებლის დადგენილების გამო თავ. ერისთავმა საჩივარი აღძრა სენატის წინაშე. როგორც სენატმა განმარტა, თავად-აზნაურთა წინამძღოლის და იმის კანდიდატის არჩევნები უსათუოდ ერთსა და იმავე კრებაზე უნდა მოხდეს. ამას გარდა თვითეულ თანამდებობაზე უსათუოდ ორ-ორი კაცი უნდა აარჩიონ და წარუდგინონ მთავრობას. რადგან ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობამ მხოლოდ თავ. ერისთავი აარჩია და წარადგინა, მთავარ-მართებელმა იგი არ დაამტკიცა წინამძღოლად.

◆ 1 ოქტომბერს ვარვარინოს სადგურთან, მატარებელი № 152 გამოსულა თუ არა გვირაბიდან, წინა ორთქლ-მავლის მემანქანეს ვესტენჰაუზენის ტორმოზით ერთბაშად შეუჩერებია. უკან მობმული მეორე ორთქლ-მავალი-კი მემანქანეს არ შეუჩერებია, ამიტომ იგი **დასჯახებია წინა ორ ვაგონს**, ერთს ნავთისას, ხოლო მეორეს—სახალხოს მეორე კლასისას და ორივე ლიანდაგიდან გადაუყრია. მეორე კლასის ვაგონი თვლებით მიწაში ჩაფლულა. უბედურება ხალხს არა შემთხვევია-რა.

◆ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, როგორც ვიცით, შესდგა კომისია **მტკვრის ტოტის დასათვალიერებლად**. კომისიამ უკვე დაათვალიერა ტოტი და სცნო, რომ ტოტის უსუფთაობას ხელს უწყობს ვანქის ტაძრის ქვემოდ გაყვანილი წისქვილის არხი. ამ არხისათვის ტოტში გავლებულია კედელი, რომელიც აჩერებს წყალს და სიბინძურეს თავს უყრის. ამის გამო, კომისიის აზრით, მტკვრის ტოტი სრულიად უნდა გაუქმდეს და დაიხუროს. შემდეგ ტოტი უნდა ამოივსოს მიწით მადათოვის კუნძულის სიგრძეზე და ზედ გაშენდეს ბაღი. თუ ვინიცობაა, ეს საქმე ვერ განხორციელდა, მაშინ, კომისიის აზრით, წინადადება უნდა მიეცეს წისქვილის პატრონს დაანგრიოს წყალში კედელი და დახუროს წისქვილი.

◆ სიზრანის **ასფალტის ამხანაგობამაც მოისურვა ქალაქის ქუჩების მოკირწვლა.** ამ ამხანაგობის წარმომადგენელმა განუცხადა ქუჩების მომკირწვლელ კომისიას, თითო ოთხ-კუთხ საჟენს 32 მან. მოვკირწლავთ ასფალტითაო. ხელშეკრულობის დადებამდე წარმომადგენელმა სთხოვა, ნება მომეცით სანიმუშოდ რომელიმე ადგილი მოვკირწლოვო. კომისიამ ნება დართო საცდელად ასფალტით მოკირწლოს ქუჩა ლონდონის სასტუმროს წინ, ალექსანდრეს ბაღამდე, ისეკი, რომ ვადად მოკირწლულ ქუჩის გამოსაცდელად დაინიშნოს 6 წელიწადი. მოკირწვლისათვის მისაცემ ფულიდან ქალაქის გამგეობა ბედ დაიტოვებს 20⁰/₀-ს, ხოლო 80⁰/₀-ს გაისტუმრებს ერთის წლის შემდეგ ასფალტით მოკირწლულ ქუჩაზე მოძრაობის დაწყების დღიდან, ისიც იმ შემთხვევაში, თუ კომისია მოიწონებს მოკირწლულ ქუჩას.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გადასწყვიტა, **ხაშურსა და ყვირილას შორის** მეორე ლიანდაგი გამართოს. სულ ამ საქმეს დასჭირდება 6,280,000 მანეთი. გაისისთვის უნდა გადაიდოს მხოლოდ 500,000 მანეთი.

◆ მერმისს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა შეუდგება **ტფილისისა, ფოთისა და ნავთლუხის სადგურების შეკეთებასა და გადიდებას.** საქმის დასაწყებად ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა უმაღლესს მთავრობას სთხოვს ფოთის სადგურისათვის—150,000 მან., ნავთლუხისათვის—150,000 მან. და ტფილისისათვის—750,000 მანეთს. ტფილისში, სხვათა შორის, ჰფიქრობენ სახელოსნოების გადიდებას.

◆ გუშინ-წინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა საფინანსო კომისიის მიერ გადათვალიერებული პროექტი თვით-მმართველობის მოხელეთა **საპენსიო კასის წესდებისა.** გამგეობამ პროექტი მოიწონა იმ ცვლილებით, რომელიც საფინანსო კომისიამ შეიტანა. პროექტი მალე ქალაქის საბჭოს წარედგინება.

◆ ბაქოელ ინჟინერს ბახტამოვს განუზრახავს **ცხენის რკინის გზის გაყვანა** ავლაბარსა და ნაძალადევში. ამის შესახებ მოხსენება ქალაქის საბჭოს გადაეცემა.

◆ ტფილისის **ქუჩების საუკეთესო სისტემით მომკირწვლელმა კომისიამ**, ინჟ. ალხაზოვის წინადადებით, დაადგინა, შეადგინოს მოხელეთა შტატი, რომელმაც მოსაკირწლავი ქუჩები უნდა გაასწოროს (ნიველიროვკა). დასში იქმნება ერთი ტეხნიკოსი, ერთი მეთვალყურე, 5 მუშა და ერთი მხატვარი. თვეში მოუნდება დასს ჯამაგირად 375 მან. შესდგა აგრეთვე სია იმ ქუჩებისა, რომელთა მოკირწვლას ეხლავე უნდა შეუდგნენ. პოლიციის 1 ნაწილში ასეთი ქუჩა 11-ია, მეორე ნაწილში—8, მეხუთეში—4 ქუჩა, მეექვსეში—3, მეშვიდეში—11, მერვეში—5, მეცხრეში—8 და მეათე ნაწილში 4 ქუჩა.

◆ ტფილისის პოლიცმეისტრის თანაშემწედ ნამყოფი, თავ. ზაქარია სიდამონოვ-ერისთავი დაინიშნა ტფილისის მაზრის მეორე ნაწილის **მომრიგებელ-შუამავლად,** ხოლო თავ. გიორგი ვეზირიშვილი—გორის მაზრის პირველ განყოფილების მომრიგებელ-შუამავლად.

◆ როგორც „ტიფ. ლისტ.“-ი გადმოგვცემს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის მოადგილე **ინჟ. შაიკევიჩი სამსახურს თავს ანებებს.**

◆ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის მე-6 ნაწილს უნდა ჰყავდეს სრული შტატი მოხელეთა. მაგრამ ეს მეორე წელიწადზე მეტია შტატი შეუვსებელია, რის გამო ზედამხედველი და თანაშემწენი, მოხელეთა სიმცირისა გამო, ვერ ასწრებენ გარდასახადების მოკრებას და სხვა დავალებათა შესრულებას. ამის გამო ზედამხედველმა ტერ-დავითოვმა სთხოვა გუშინ ქალაქის მოურავს, განკარგულება მოახდინეთ, აღნიშნულ ნაწილის შტატი შეავსეთო.

◆ სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილება დორის-მელიქოვის ქუჩაზე შეძენილ სახლს აქცევს და ახალს აშენებს. ამ შენობაში ბანკს გარდა მოთავსებული იქმნება მთავარი კონტორა შემნახველ კასსისა.

◆ როგორც ტფილისის თავ-შესაფარის გამგის ანგარიშიდანა სჩანს, სექტემბერში თავშესაფარით უსარგებლნია სულ 753 მამა-კაცს და 137 დედა-კაცს. აქედან რუსი ყოფილა 256 მამაკაცი და 92 დედაკაცი, სომეხი—357 მამაკაცი და 30 დედაკაცი, ქართველი 94 მამაკაცი და 30 დედაკაცი, თათარი 32, პოლონელი 9.

◆ 1 ოქტომბერს, რიყის ქუჩაზე, მეეტლეს № 620 ისე გაუქანებია ეტლი, რომ ქვეშ მოუტანია გზაში მიმავალი ოსმალო მატო-მგო-ოღლი და ძალიან დაუშავებია. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ გუშინ-წინ დიდუბის იქით, ილია უსაჩევის დუქნიდან მომავალთ ივანე კარლოვსა და ალექსანდრე მარტიაშკინს თავს დასცემიან ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი და ძალათ ჯიბიდან 7 მანეთი ამოუცლიათ.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ კვირას, 28 სექტემბერს, ქ-ნ ლოგვინოვის თაოსნობით ქალაქის ბაღში გაიმართა სეირნობა ქუთაისის ქალთა საპროფესიონალო სასწავლებლის საშუალებათა გასაძლიერებლად. სეირნობის დროს ბაღში იყიდებოდა მომგებიანი ბილეთები, თაიგულები და კონფეტები, მოსწავლე ქალთაგან დამზადებული. ბევრს მომგებიან ბილეთს მშვენიერი ნივთები ერგო. საზოგადოდ მოსწავლე ქალების ნაქსოვ-ნაქარგი და ნაკერავი ნივთები კარგს შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

ბულების წესდებას. ჩვენ ვირჩევთ ამ შემთხვევაში მიუნხენის ბირჟის წესდებას, რადგან ამ ქალაქის შრომის ბირჟა ყველაზე უკეთაა მოწყობილი და სამაგალითოდ ითვლება მთელს გერმანიაში.

შრომის ბირჟის მიზანია,—ამბობს პირველი მუხლი წესდებისა,—სამუშაო მოუპოვოს მუშებს, ოჯახებში მოსამსახურეებს, ნოქრებს, სავაჭრო თუ სამრეწველო დაწესებულებათა შეგირდებს; აგრეთვე მიაწოდოს მსურველს ყოველგვარი ცნობები, რომლებიც-კი მუშებსა და შრომის პირობებს შეეხება; გარდა ამისა ბირჟა ვალდებულია შრომის მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ სტატისტიკური ცნობები აძლიოს ქალაქის სასტატისტიკო ბიუროს.

ბირჟის მთავარი უფროსი არის ქალაქის თვითმმართველობა, ხოლო საქმეების მმართველ-მწარმოებლად არჩეულია კომისია, რომელიც 7 პირისგან შესდგება. ამათში სამია მუშა და სამიც მრეწველი კაპიტალისტი. მეშვიდე არის თავმჯდომარე, რომელსაც, ვითარცა პარტიის გარეშე მყოფ კაცს, ირჩევს და ნიშნავს ქალაქის გამგეობა. კომისიის წევრები 3 წლის ვადით ირჩევიან და ინიშნებიან. კომისიის წევრებთან ერთად ირჩევენ ხოლმე 4 მოადგილესაც, რომლებიც, როცა წევრებს არ სცალიათ, სხდომებს ესწრობიან და წევრების თანამდებობას ასრულებენ.

კომისიას სხდომები აქვს საჭიროების მიხედვით; ყოველ შემთხვევაში ორ თვეში ერთხელ მაინც. რაიმე გადაწყვეტილების მიღების დროს სხდომაზე მუშების და კაპიტალისტების თანასწორი რიცხვი უნდა იყოს. ყოველ სხდომისათვის, თუ საქმის დღეს მოხდა, კომისიის წევრებს, გარდა თავმჯდომარისა, ორ-ორი მანეთი ეძლევა.

კომისია კონტროლს და ხელმძღვანელობას უწევს ბირჟის მოხელეებს მუშაობაში და საზოგადოდ საქმეების წარმოებაში. ამ მოხელეთაგან ერთს ინსპექტორი ეწოდება. და ბირჟის კედლებში ეს არის უფროსი და მთელი დაწესებულების გამგე-მმართველი.

ბირჟას აქვს ორი განყოფილება,—ქალებისა და კაცებისათვის. შუამავლის როლს მუშებსა და მუშის დამქირავებლებს შორის ბირჟა ასრულებს მუქთად, უსასყიდლოდ. ყველა ხარჯებს, რომლებიც საჭიროა ბირჟის შესანახად და საწარმოებლად, ქალაქი ჰფარავს საზოგადო შემოსავლიდან.

შრომის ბირჟების პრაქტიკულ მოქმედებაში ერთ მთავარ სადავო საკითხს შეადგენს შემდეგი გარემოება: როგორ უნდა მოიქცეს ბირჟა, როცა რომელისამე მრეწველის ფაბრიკა-ზავოდში გაფიცვა არის და მუშები არ მუშაობენ? თუ ამ შემთხვევაში ბირჟამ განაგრძო თავისი საქმე და ამ მრეწველს ახალი მუშები მოუპოვა, ამით ჩაშლის გაფიცვას და საქმეს გაუფუჭებს გაფიცულ მუშებს. რახან მრეწველი შესძლებს ახალ მუშების ადვილად მოპოებას, ძველ მუშების გაფიცვას ყურადღებასაც არ მიაქცევს და იმათ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს. და თუ, პირ-იქით, ბირჟამ თავისი კარები დაუხურა ასეთ მდგომარეობაში მყოფ ფაბრიკანტს და მოთხოვნისამებრ მუშები არ მოუპოვა, ზარალი ეძლევა მრეწველს, რომელიც ამის გამო ხდება ბირჟის დაუძინებელ მტრად და მოწინააღმდეგედ.

ეს საკითხი ყველა ბირჟებს ერთნაირად არა აქვთ გადაჭრილი და მოგვარებული. ზოგის წესდებაში ასეთი მუხლი საზოგადოდ სულ არაა შეტანილი და, მაშასადამე, შემთხვევის დროს ასეთი თუ ისეთი მოქმედება ბირჟის კომისიის გადაწყვეტილებაზე არის მიგდებული. ზოგი ბირჟა ყურადღებას არ აქცევს მუშების გაფიცვას და მრეწველს დაუბრკოლებლად უგზავნის თავისუფალ მუშა-ხელს. დასასრულ, ბევრ ბირჟებში ამგვარი წესია მიღებული, რომ გაფიცვის დროს ბირჟა არც მრეწველს და არც გაფიცულ მუშებს არ უწევს სამსახურს: პირველს არ უგზავნის მუშებს და მეორეებს არ უძებნის სამუშაოს.

მიუნხენის ბირჟა ამ მხრით შემდეგ წესს ადგია: როგორც-კი რომელსამე სამრეწველო დაწესებულებაში მუშების გაფიცვა მოხდება ან თვითონ მრეწველი დაითხოვს მისთვის უსიამოვნო და არა სასურველ მუშებს, ბირჟის კომისია წინადადებას აძლევს ორივე მხარეს, მუშებს და მრეწველს, რომ სამრეწველო სასამართლოს მიმართონ და თავიანთი უთანხმოება სამედიატორო სამართლით გადასწყვიტონ. თუ ვინიცობაა სამედიატორო სამართალი არ შესდგა, ან მოწინააღმდეგე მხარეები განაჩენს არ დაემორჩილენ, იმ შემთხვევაში კომისია მოქმედობს გარემოებისა და თავის მოსაზრების მიხედვით: ან სპობს კავშირს შეთანხმების მოხდენამდის იმ ფირმასთან, სადაც მუშების გაფიცვა არის, ანდა—ძველებურად განაგრძობს თავის მოქმედებას და სამსახურს.

ბირჟა გაღებულია საქმის დღეებში დილის 8 საათიდან შუადღის 12-დი და ნაშუადღევის 3-დან 6 საათამდი, ხოლო კვირა და სხვა უქმე დღეებში ღიაა შუადღემდი.

წესდებაში განსაზღვრულია, აგრეთვე თუ როგორი უნდა იყოს საქმეების წარმოების ფორმა. სამუშაოს მძებნელ მუშების განცხადება იწერება მიყოლებით ცალკე დავთრებში და მუშების დამქირავებელთა კიდევ ცალკე წიგნებში. სხვათა შორის, ინიშნება, თუ რამდენ ქირას თხოულობს მუშა და რამდენის მიცემას ჰფიქრობს დამქირავებელი.

ასე ჩაწერილ ცნობების თანახმად მოხელე აძლევს რიგ-რიგით თითოეულ მუშას ბარათს, რომელზედაც აღნიშნულია იმის ადრესი, ვინც აცნობა ბირჟას, რომ მუშა ესაჭიროება. მუშა ნახულობს აღნიშნულ პირს, ურიგდება შრომის პირობებზედ იწყებს მუშაობას.

შრომის ბირჟების გამრავლებამ გერმანიაში გამოიწვია იმათი კავშირის ანუ **ცენტრალიზაციის საჭიროება.** საქალაქო ბირჟა, რომლის მოქმედება მარტო ერთად-ერთი ქალაქით განისაზღვრება, მხოლოდ ადგილობრივ აწეს-რიგებს შრომის მოთხოვნასა და მიწოდებას. მას შეუძლია სამუშაოს მძებნელ მუშებს უჩვენოს თავისუფალი ადგილები მხოლოდ მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც ქალაქშია, და მუშის მქირავებელ მრეწველთ გაუგზავნოს მხოლოდ ის თავისუფალი მუშები, რომლებიც აქ არიან. მაგ-

სეირნობის მთელი შემოსავალი 500 მანეთამდის იქმნებოდა.

◆ წლევანდელმა გამუდმებულმა წვიმებმა და წყალდიდობამ ბალახვანის ქუჩაზე მცხოვრებთ დიდი ზარალი მიაყენა: ზოგს ქვის ღობე დაუნგრია, ზოგს ეზო მოსტაცა და ზოგს სახლი. წვრილფეხ საქონელსა და შინაურ ფრინველებს ხომ სულ მუსრი გაავლო. სოფლებიდანაც არა ერთი და ორი დანგრეული სახლი ჩამოიტანა რიონმა ქუთაისში. ეტყობა, სოფლებშიაც დიდი ზარალი მიუყენებია. ამ გარემოებამ და უმეტესად ბალახვანის მცხოვრებელთა თხოვნამ აიძულა ქალაქის გამგეობა ეფიქრა რიონის ნაპირის გამაგრებაზე ეგრედ წოდებულ „წყალთაშუა“-სთან. ამისათვის საჭიროა 75 საჟენის სიგრძეზე გაკეთდეს ქვის ჯებირი და წყლისაგან მოტაცებული ადგილი უნდა ამოივსოს ქვითა და მიწით. ამ სამუშაოს, როგორც ქალაქის ინჟენრისაგან შედგენილ სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვიდანა სჩანს, დასჭირდება სულ 4,000 მანეთი, რაც ქალაქს, რასაკვირველია, არა აქვს. ქალაქის გამგეობა მაინც ჰფიქრობს, ამ ხარჯის ნახევარი თვითონ იკისროს, ნახევარი კი მცხოვრებლებმა გადაიხადონო. ასე თუ ისე, ამ საქმეს დაჩქარება უნდა, თორემ ამ ბოლო დროს რიონი ისე ხშირ-ხშირად მატულობს, რომ ბალახვანში მცხოვრებთ ხეირს არ დააყრის.

◆ როგორც გავიგეთ, ქუთაისის გუბერნატორს განუსაჩივრებია დადგენილება საქალაქო საქმეთა საკრებულოსი, რომელმაც არ დაამტკიცა ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილება კვირა-უქმე დღეებში სავაჭროების მთელის დღით დაკეტვის შესახებ.

◆ იმერეთის ეპისკოპოსის განკარგულებით დეკ. გ. ცაგერეიშვილის ნაცვლად სასულიერო უწყების წარმომადგენელ ხმოსნად ქალაქის საბჭოში დაინიშნა ეპისკოპოსის კანცელარიის მდივანი ბ-ნი თუთბერიძე.

◆ ვაჟების კერძო მოსამზადებელ სასწავლებელს, რომელიც შარშან დაარსა ოთხმა მასწავლებელმა: ს. ნ. დათეშიძემ, გ. ა. ბურჯანაძემ, გ. ბოკერიამ და ა. ჩხეტიამ, ერთის წლის განმავლობაში მოუმზადებია სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის 82 მოწაფე, რომელთაგან სავაჟო გიმნაზიაში მიუღიათ 7, რეალურ სასწავლებელში—18, სათავად-აზნაურო სასწავლებელში 6, საქალაქო სასწავლებელში 49, სამეურნეო სასწავლებელში 1 და სასულიეროშიაც 1 მოწაფე. სკოლაში რამდენსამე ღარიბ მოწაფეს სრულიად უსასყიდლოდ ასწავლიან; ორს თითქმის ბინაც უფასოდა აქვს.

◆ ამას წინად ქუთაისში ხმა გავრცელდა, ტფილისის ქუჩას გრანიტის კუბიკებით უპირებენ მოკებასაო, და ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, თუმცა ცოტა ეჭვი კი გვებადებოდა: სად ქუთაისის ქუჩები და სად კუბიკები! მას აქეთ კარგა ხანმა განვლო და კუბიკების ხსენებაც გაჰქრა. ისევ ძველებურად-ჩვენებურად შეუდგნენ ქუჩის კეთებას და მართლაც გუბერნატორის სახლამდის გვარიანად შეაკეთეს გზა-ტკეცილი; შემდეგ კი,—უფულობის მიზეზი იყო, თუ სხვა რამ,—მთლად მიანებეს თავი ქუჩის კეთებას და ისეთ მდგომარეობაში დასტოვეს, როგორშიაც სოფლის შუკებსაც ვერ ჰნახავთ. ამ წყალდიდობამ და ნიაღვრობამ არამც თუ შეუკეთებელი, ქუჩის შეკეთებული ნაწილიც ისე გაათხრა, რომ სულ წაღეკა, რაც ზედ დატეხილი ქვა და ხრეში ეყარა, და ქუჩა დედლედ გადააქცია.

◆ ქუთაისის ქალაქის საბჭოს დაუდგენია, შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ ხაზინამ ქალაქს 25 წლის ვადით სესხად მისცეს 50,000 მანეთი. ეს ფული საბჭოს ქალაქის საავადმყოფოს ასაშენებლად უნდა. შუამდგომლობა უკვე გადაეცა კავკასიის უმაღლესს მთავრობას.

◆ ქალების წმ. ნინოს სასწავლებელში მათემატიკის გაკვეთილები მეექვსე კლასში მიუციათ საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელ ზისეცკისთვის, რომელსაც მხოლოდ სამასწავლებლო ინსტიტუტი აქვს გათავებული.

◆ როგორც ქალაქის სანიტარულ მეთვალ-ყურეობის ანგარიშიდანა სჩანს, 1 სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდის დაუთვალიერებიათ 224 ეზო და 164 სავაჭრო. სანიტარულ წესების დარღვევისათვის შეუდგენიათ 14 ოქმი, 56-თვის ჩაუბარებიათ უწყება: გაუკეთებიათ 22 ფეხის ალაგი-ახალი და 30 ძველი შეუკეთებიათ; გაუკეთებიათ 36 სანაგვე ყუთი; სავაჭროების დათვალიერების დროს გადაუყრიათ უვარგისობის გამო 6 ფუთი ხილი, 60 ფუთი მწვანილი, 4 ფუთი თევზი და 16 ფუთი ძროხის ხორცი; გადამდებ ავადმყოფობის შემდეგ დეზინფექცია მოუხდენიათ 4 სახლში; სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში გაუსინჯავთ 12 კაცი და სხ.

შინ და გარედ

16.

მკითხველს ემახსოვრება, რომ ამას წინად თერგის ოლქში ოსი ავაზაკები თავს დაესხნენ ჯარისკაცთ და ცხენები წაართვეს. ამ გარემოებამ მიიქცია რუსულ გაზეთების ყურადღება და კვლავ დაიწყეს ლაპარაკი კავკასიაში ავაზაკობის გაძლიერების შესახებ.

ეს საკითხი ძველის ძველია და, ვგონებ, არ დარჩენილა გაზეთი, რომელსაც მის შესახებ თავისი აზრი არ წარმოეთქვას. სიმართლე თუ გნებავთ, ეგ საკითხი გამორკვეულადაც უნდა ჩაითვალოს. შეგნებულმა და მიუდგომელმა პრესსამ კარგა ხანია აღნიშნა ავაზაკობის გაძლიერების მიზეზი და აღნუსხა საშუალებანი მის მოსასპობლად. მოკლედ რომ ვთქვათ, ძირითადი მიზეზი—ჩვენის ქვეყნის ეკონომიური და იურიდიული მოუწყობლობაა, ხოლო წამალი—სხვა-და-სხვა გვარი კულტურული ღონისძიება. ეს დასკვნა ეკუთვნის არა მარტო პროგრესიულ გაზეთებს, არამედ ზოგიერთ წარჩინებულ სახელმწიფო მოღვაწეთაც. გაიხსენეთ თუნდ სასწავლო ოლქის ყოფილ მზრუნველის აწ გარდაცვალებულის კ. პ. იანოვსკის ფრიად საინტერესო აზრი, რომელიც არა ერთხელ გადმოუბეჭდიათ გაზეთებს ერთ-ერთ მის წლიურ ანგარიშიდან.

კ. პ. იანოვსკი კატეგორიულად უარჰყოფდა რეპრესიულ ღონისძიებათ ავაზაკობასთან ბრძოლის საქმეში და ამბობდა, ბევრად უმჯობესი იქნება ის დიდი თანხა, რომელიც იხარჯება რეპრესიულ ღონისძიებათა განსახორციელებლად (მათ შორის საეროზო სადარაჯო რაზმზედაც), მოხმარდეს კავკასიაში სწავლა-განათლების გავრცელების საქმესო; ამ გზით უფრო მოვსპობთ ავაზაკობასაო. იანოვსკი მარტო სწავლა-განათლების საქმეზე გვითითებს, მაგრამ ადმინისტრაციის ზოგიერთი სხვა წარმომადგენელი სხვა გვარ კულტურულ ღონისძიებასაც ასახელებდნენ. გაიხსენეთ თუნდ სასოფლო-სამეურნეო კომიტეტების აზრი აგრარულ რეფორმებისა და კრედიტის საქმის მოწყობის საჭიროების შესახებ.

საუბედუროდ, ასე როდი სჯიან ყველანი, ბევრი იმ აზრისა იყო და დღესაც იმასვე ჰქადაგობს, რომ მხოლოდ სასტიკობა, ყოველგვარი რეპრესია და სადარაჯო რაზმების გაძლიერება განკურნავს კავკასიასაო. სოაცარი ის არის, რომ ამ აზრის პატრონნი ვერც ლოღიკამ დაიჯერა, ვერც გამოცდილებამ. მათ ქადაგებას მეტი ყურადღება მიაქციეს და სასტიკობა არ დაიშურეს, მაგრამ ამით საქმეს ვერ უშველეს. მიუხედავად ამისა, რეპრესიების მქადაგებელნი დღესაც იქვე არიან და საკვირველის დაჟინებით თავისას გაიძახიან.

„მოსკოვ. ვედომ.“, მაგალითად, თერგის ოლქში მომხდარ ამბისა გამო ისევ ღეჭავს, რეპრესია უნდა გაძლიერდესო. გრინგმუტის გაზეთი ვიღაცას არწმუნებს, მთავარი მიზეზი ავაზაკობისა ის არისო, რომ კავკასიის მკვიდრთ დღემდე არ აეკრძალათ იარაღის ტარებაო. აი რა უბრალო მიზეზი იწვევს თურმე ჩვენში ავაზაკობას? რა შუაშია ეკონომიური დაქვეითება, იურიდიული მოუწყობლობა, სწავლა-განათლების საქმის ანორმალური მდგომარეობა, ყველაფერში ხანჯალი და თოფი ყოფილა დამნაშავე, სწორედ ის თოფ-ხანჯალი, რომლითაც მიყრუებულ ადგილებში მცხოვრები მკვიდრი თავს იცავს ავაზაკთაგან!..

მე მგონია, რომ გაზეთი, რომელიც ასე ამარტივებს ისეთ რთულ საკითხს, როგორიც არის ავაზაკობის გაძლიერება და მასთან ბრძოლა, განზრახ იბრმავებს თვალებს და ფიქრად რაღაც სხვა პლანები აქვს, სხვა დარდი და არა ავაზაკობის მოსპობა. ამგვარ გაზეთთან, მაშასადამე, პოლემიკაც მეტია და მოსკოვის მეორე გაზეთი „კურიერ“-ი ტყუილა იწუხებს თავს „მოსკოვ. ვედომ.“-ის მოსაზრებათა დასარღვევად. მაგრამ, შესაძლებელია, „კურიერ“-მაც კარგად იცის ეს და, თუ მაინც საჭიროდ სთვლის რეაქციონურ გაზეთთან დავას, ეგ იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, იმ გაზეთის სიტყვას გასავალი აქვს და ცხოვრებაში ჯერ მის რჩევა-დარიგებას აქვს უპირატესობა მინიჭებული. „კურიერ“-იც, ალბათ, ამის მიზეზით გარჯილა და კიდევ ერთხელ იმეორებს ერთ სამართლიან აზრს: ავაზაკობის წინაამდეგ ბრძოლისათვის საუკეთესო საშუალება იქნება—კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება. დეე თვით მკვიდრთ მიენიჭოს ნება ავაზაკთა გასამართლებისა და მაშინ აღარ შეეშინდებათ მედგარი ბრძოლა აუტეხონ ავაზაკთაო. რასაკვირველია, „კურიერ“-ს კარგად ესმის, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მარტო ვერას გახდება, თუ სხვა კულტურული ღონეც არ იღონეს.

ესმის და წინად ხშირადაც უთქვამს სხვებთან ერთად, მაგრამ, ნათქვამია, კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო...

გან

თეატრი

ქართული წარმოდგენა. 2 ოქტომბერს ქართულ წარმოდგენას ხალხი ძალიან ნაკლებად დაესწრო და არ ვიცი რატომ,—იმიტომ, რომ პიესა „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ შექსპირისა არ ვარგა, ან ისე ხშირად არის ნათამაშევი, რომ ყველას თავი მოაბეზრა, თუ ამის მიზეზია ჩვეულებრივი გულგრილობა ქართველ საზოგადოებისა, რომელიც უფრო არა ჩვეულებრივს საიუბილეო და საბენეფისო წარმოდგენას ეტანება და თეატრსავსებს, ხოლო ჩვეულებრივს, მორიგის წარმოდგენის დროს თეატრი ნახევარზე მეტად ცარიელია ხოლმე, რა პიესაც უნდა წარმოადგინონ.

თუმცა „ჭირვეული ცოლის მორჯულება“-ში მხოლოდ ორი როლია შესამჩნევი—პეტრუჩიო და კატარინასი, დანარჩენი როლები სულ უბრალო, უმნიშვნელონი არიან, ვერც-კი იტყვით, რომელიმე მომქმედი პირი ამ პიესისა რაიმე ხასიათის პატრონი იყოს, გარდა, იქმნება, ერთისა, პეტრუჩიოს მსახური გრუმიოსი, მაგრამ, სამაგიეროდ, პეტრუჩიო და კატარინა სავსენი არიან სიცოცხლით, ბუნებრივის ძალით, ბრძოლა ამ ორი ახირებული, ჯიუტი პირისა საუცხოვოა და ამიტომ ეს კომედია შექსპირისა აქამდის, თუმცა იგი აგერ ორას ოცი წლისაა, ყოველგან სარეპერტუარო პიესად ითვლება.

ტფილისის ქართულს სცენაზე, თუ არა ვსცდებით „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ სულ 2—3-ჯელ წარმოუდგენიათ და საკმაოდ კარგადაც ადგენენ ხოლმე. გუშინ პეტრუჩიო და კატარინა ბ-ნმა მესხმა და ქ-ნმა კარგარეთელმა წარმოადგინეს და ძა-

---

რამ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ყველა ქალაქებში მუშა-ხელი ერთნაირად საჭირო არაა. ზოგგან ბაზრის ცუდი მდგომარეობის გამო მრეწველობის ესა თუ ის დარგი კარგად ვერ მიდის და წარმოება შემცირებულია, მაშასადამე, ძველი მუშებიც უადგილოდ რჩებიან. ზოგან კიდევ წარმოების ახალი დარგი ჩნდება და მუშათა მოთხოვნა დიდდება. ხშირად ერთ ადგილას თავს იყრის მრავალი უსაქმო მუშა ხალხი, მეორე და მესამე ადგილას კი მუშის ნაკლებობაა. იქ, საცა ბევრი სამუშაოს მძებნელია, საცა შრომის მიწოდება დიდია, კლებულობს და ეცემა ძირს სამუშაო ქირა; სამაგიეროდ იქ, საცა მუშის სიმცირეა, ქირა იზრდება და ჩვეულებრივ დონეს შესამჩნევად აღემატება. შრომის ბირჟას არ შეუძლია მუშათა რიცხვის და შრომის ქირის ასეთ სხვა-და-სხვაობის გასწორება, როცა მისი მოქმედების ასპარეზი ვიწრო ფარგლით განისაზღვრება. ასეთ შემთხვევაში ერთი ქალაქის მუშებმა ხშირად არ იციან, რომ მეორე ქალაქში მუშის საჭიროებაა და სამუშაო იშოვნება. ამ უცოდინელობის გამო არა იშვიათად მუშა იქ ვერ ხვდება, საცა საქმის შოვნა და დაბინავება შეუძლია.

აი, ასეთმა გარემოებამ გამოიწვია და საჭირო გახადა, რომ სხვა-და-სხვა ქალაქების ბირჟები ერთმანეთს დაახლოვებოდნენ და შეკავშირებოდნენ. ამ კავშირის ანუ ცენტრალიზაციის მიზანი ისაა, რომ უკეთ გაანაწილოს საქმის მძებნელი მუშები სხვა-და-სხვა ადგილებში და ამნაირად უკეთ შეუთანხმოს ერთმანეთს შრომის მოთხოვნა და მიწოდება. ბირჟათა ცენტრალიზაციის მოხდენა გერმანიაში სულ უკანასკნელ დროის ამბავია და ამიტომ, რასაკვირველია, ეს ჯერ ყველგან არ განხორციელებულა. ჯერ-ჯერობით ასეთი ცენტრალიზაცია მოხდენილია ვიურტემბერგში, ბადენში და ბავარიაში. ამ სახელმწიფოთა საქალაქო შრომის ბირჟებს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი და ერთობა აქვთ. მუდამ აგებინებენ ერთი მეორეს შრომის ბაზრის მდგომარეობას, უსაქმო მუშების რაოდენობას, სამუშაო ქირას და სხვა შრომის პირობებს და ამ გზით ცდილობენ მრეწველობისთვის მუშა-ხელის იქ მიწოდებას, საცა ეს უფრო საჭირო და გამოსაყენებელია.

რა თქმა უნდა, ასეთი ცენტრალიზაციის დაიწყება და სასურველად შესრულება მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია. ამიტომ ამ ჟამად გერმანიაში აღძრულია საკითხი, რომ **შრომის ბირჟების გამართვა და მათი ერთმანეთთან ორგანიულად დაკავშირება სახელმწიფომ ითავოს** და განახორციელოს. მაგალ., ამ ორი წლის წინად დეპუტატებმა რეზიკემ და პახნიკემ ამ აზრის გამომხატველი წინადადება შეიტანეს რეიხსტაგში. ჯერ-ჯერობით ეს აზრი პროექტად არის და კანონის ძალა არ მიუღია, მაგრამ ეჭვი არ არის,—ნიადაგი ისეა მომზადებული და რეფორმის შემოღება ისე აუცილებელი,—რომ მოკლე დროში იქ ეს საკითხი რეფორმის მომხრეთა სასურველად გადაწყდება და დაგვირგვინდება.

1899 წელს ამგვარივე აზრის კანონ-პროექტი შეიმუშავა ავსტრიის მთავრობამაც. აქ სავაჭრო სამინისტროს განზრახვა აქვს შრომის ბირჟები მოჰფინოს მთელს სახელმწიფოში, დაუკავშიროს იგინი ერთმანერთს და ამნაირად საქმე ისე მოაწყოს, რომ შრომის ბაზრის მდგომარეობის ყოველთვის ცოდნა და გათვალისწინება შეიძლებოდეს. პროექტის მთავარი აზრი შემდეგია: ყოველ შრომის ბირჟასთან დაწესებულია კომისია, რომელიც ნახევრად მუშებისაგან შესდგება და ნახევრად მუშის მქირავებელთაგან. თავმჯდომარედ თვითონ მინისტრი ჰნიშნავს ისეთ კაცს, რომელიც არც მუშის წრეს ეკუთვნის და არც მრეწველებისას. მუშების გაფიცვის დროს კომისიამ უნდა გადასწყვიტოს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ბირჟა: იმ დარგს, საცა გაფიცვა არის, მოუპოვოს ხოლმე მუშები, თუ მასთან ურთიერთობა გასწყვიტოს და თავისი შუამავლის როლი არ შეასრულოს. ბირჟებში საქმეების მწარმოებლებად დაინიშნებიან სახელმწიფო მოხელეები, რომლების მთავარი უფროსი და ხელმძღვანელი მინისტრი არის. ბირჟების სამსახური უსასყიდლოა და იმათი შენახვის ხარჯები სახელმწიფო ხაზინიდან სწორდება. პროექტით ქალაქებს არ ედებათ ვალად დაარსებული ბირჟები სახელმწიფოს გადასცენ, ან შემდეგში ახლები არ დააარსონ, მხოლოდ შესახებ საბირჟო კომისიებისა და მუშების გაფიცვისა იმათ დაწესებულებებშიაც ისეთი წესი უნდა იყოს შემოღებული, როგორც სახელმწიფო ბირჟებშია. სამაგიეროდ გაძნელებულია კერძო შრომის ბიუროების გახსნა. ამათ დასაარსებლად საჭიროა კონცესიის აღება სახელმწიფოსაგან, რომელიც ავალებს იმათაც სახელმწიფო წესდების მთავარ მუხლების შესრულებას და უწევს სასტიკ კონტროლს და ზედამხედველობას.

ავსტრიის მთავრობის პროექტიც, თუ არ ვსცდებით, ჯერ პროექტად არის და დღემდის არ დაკანონებულა, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ აქაც ეს მალე კანონად იქცევა და ამ სახით შრომის ბირჟა უმთავრესად სახელმწიფო დაწესებულება გაჰხდება.

ასეთია შრომის ბირჟების დაარსების მოკლე ისტორია ევროპაში.

ამ დაწესებულებებმა დიდი სარგებლობა მოუტანეს იქ როგორც მუშებს, ისე მუშის მქირავებლებს. იმათი წყალობით აუარებელი ხალხი საქმეს პოულობს სწრაფად, თუ კი საზოგადოდ სამუშაო მოიპოვება, და ამნაირად თავიდან იცილებს დროს უქმად და უსარგებლოდ დაკარგავს. გვგონია, საჭირო არ არის, და თან წერილის ციფრებით აჭრელებასაც ვერიდებით, თორემ ამ აზრის თვალ-საჩინოდ გასახდელად მრავალ-გვარ სტატისტიკურ ცნობებს მოვიყვანდით.

შრომის ბირჟას ბევრ სხვა მხრივაც აქვს მნიშვნელობა, რასაც აქ ამ ჟამად აღარ ვიხსენიებთ. შემდეგ წერილში გვექნება შემთხვევა ამ მხარეებსაც შევეხოთ და უფრო დაწვრილებით გავარკვიოთ.

ფ. გოგიჩაიშვილი

ლიან ლაზათიანად, მხიარულად შეასრულეს თავიანთი როლები, მეტადრე ბ-ნმა მესხმა, რომლის რეპერტუარში პეტრუჩიოს როლი სწორედ რომ საუკეთესო როლია. გრუმიოს როლში კარგი იყო ბ-ნი გედევანოვი.

გუშინდელს წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო ქ-ნმა დავითაშვილმა. დებიუტანტმა ქალმა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების წინ პირველად გამოსვლის გამო ცოტა შეკრთა, ბიანკას პატარა როლის ასრულებით საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, და იმედია, თუ მეცადინეობას არ დაიშურებს და საქმეს გულმოდგინედ მოეპყრობა, ჩვენს დასში მალე შესამჩნევ ადგილს დაიჭერს.

ვ. ს—ი

დღეისთვის ავლაბრის ახალს თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა. ქართული დრამატიული დასი წარმოადგენს თავ. აკაკი წერეთლის ისტორიულ დრამას „პატარა კახ“-ს.

ოზურგეთი. 1 სექტემბერს სცენის მოყვარეებმა გამართეს მეათე წარმოდგენა. ითამაშეს 2 მოქ. დრამა „დასჯილი“ და 1 მოქ. კომედია „რაც არ მერგება არ შემერგება“. წარმოდგენას საერთოდ არა უშავდა რა. უფრო კარგად კომედიამ ჩაიარა.

სასამართლო

ფოთის ხაზინაზე თავ-დასხმა

ამ საქმის განხილვას კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო შეუდგა 3 ოქტომბერს ქ. ქუთაისს. როგორც უკვე ვწერდით, პასუხის გებაში მიცემულია: დომენტი კვაჭაძე—25 წლისა, ანტონ ჩხარტიშვილი—32 წლისა, კოწია ჭელიძე—34 წლისა, აზნაურობის მაძიებელი ხარლამპი კავჟარაძე—20 წ., აზნაური ისიდორე მახარაძე—37 წლისა, საპატიო მოქალაქე გრიგოლ ჩხარტიშვილი—26 წ., ფოთის მცხოვრები ნიკოლოზ გუჯაბიძე—30 წ. და თავ. ალექსანდრე მაჭუტაძე—47 წ.

1902 წელს, 20 დეკემბერს, დღის 12 საათზე, როცა ფოთის ხაზინაში ჩვეულებრივი მეცადინეობა იყო და მოხელეთა გარდა იქ იმყოფებოდა 15—20 გარეშე კაცი, მოულოდნელად ხაზინას დაეცა ბერდანის თოფებითა და რევოლვერებით შეიარაღებული 7 კაცი. ამათგან ერთი კარებში ჩადგა დარაჯად, ერთმა რამდენჯერმე დასცალა ბერდანა და ხმა-მაღლა შესძახა ხაზინაში მყოფთ: „ფეხი არ დასძრათ ადგილიდან, დაწექით“. ყველანი შიშმა მოიცვა. ზოგი ისე შეშინდა, რომ იატაკზე დაწვა. შეშინებულმა ხაზინის მოხელეებმა დაიწყეს აქეთ-იქით სირბილი კანცელარიის ოთახებში, ზოგმა ფანჯარა გამოამტვრია და გადახტა, ზოგი სტოლებსა და შკაფებში დაიმალა და სხვ. ორმა ყაჩაღმა რკინის მოაჯირი გამოამტვრია, მივარდა ხაზინადარს ვართაპეტოვს, გამოჰგლიჯა ხელიდან კასის გასაღები, თითონ ხაზინადარი კისერში მუშტის კვრით მეორე ოთახში შეაგდეს, შემდეგ მოხვეტეს, რაც კასაში თუ იქვე სტოლზე ფული იყო—38,810 მან. 48 კაპ. და შეჰკრეს ერთს პატარა ტომარაში. ამავე დროს სხვანი სძარცვავდნენ ხაზინაში მყოფ ხალხს: ერთს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეს ხოშტარიას წაართვეს ქისა, რომელშიაც ორ მანეთამდე ჰქონია, თარჯიმანს აფენდულოვს წაართვეს 50 მან. ყოველივე ეს ისე მსწრაფად მოახდინეს ყაჩაღებმა, რომ ხალხი შიშისაგან ვერ გამოერკვა. ამ გვარად მოჰკრიბეს, რაც რამ ხელთ მოჰხვდათ, რამდენჯერმე კიდევ დასცალეს თოფები ხაზინაში და გარეთ გავიდნენ. თოფის ხმაზე იქვე ახლო პოლიციის სამმართველოდან მოირბინა ორმა პოლიციელმა, ოსიპოვმა და კაპარავამ, რომელნიც ხაზინის კიბესთან დაიმალნენ და იქიდან დაუწყეს რევოლვერებით სროლა მიმავალ ყაჩაღებს. დასჭრეს ორი. ერთი ქუჩაში წაიქცა. წაქცეულთან მიირბინა იმისმა ამხანაგმა და ჩამოართვა ბერდენა. დაჭრილი შეეხვეწა ამხანაგს: „მიშველე, მომკალ, ცოცხალს ნუ გამიშვებო“. ამხანაგმა დაჭრილს დაახალა ტყვია და იქვე მოჰკლა. ყაჩაღები ფეხში დაჭრილ ამხანაგთან ერთად გაუდგნენ გზას. თუმცა ხმაურობაზე ბევრი ხალხი შეიკრიბა, მაგრამ ვერავინ გაჰბედა ყაჩაღების გამოდევნება. გაიარეს პარკი და გასწიეს პალეოსტომის ტბისაკენ. ამ გზით ოზურგეთის მაზრაში წამსვლელი უნდა გადავიდეს მდინარე ჭორნაზე და შეჰყვეს მეორე მდინარის, პიჩორის, ნაპირს. როგორც გამოძიებით გამორკვეულა, 20 დეკემბერს დილიდან იმ ადგილას, სადაც ყაჩაღები უნდა გადასულიყვნენ, ერთი თუ ორი კაცი უცდიდა იმათ ნავით. ცოტას ხანს შემდეგ ფოთიდან ყაჩაღებს გამოადევნეს 15 დარაჯი სამის ბოქაულისა და ერთის ოფიცრის მეთაურობით, მაგრამ პოლიციელებმა ვერაფერი გააწყეს, რადგან დიდის ნავით ვერ გადვიდნენ მდინარე პიჩორაზე წყლის დაპატარავებისა გამო, ხოლო მდინარის აქეთა ნაპირიდან ყაჩაღების დევნა შეუძლებელი იყო, რადგან ადგილები ჭაობიანია და ცხენს არ შეუძლიან სიარული. პალეოსტომის ტბაზე მეთევზეებმა განაცხადეს, რომ ოც დეკემბერს ნაშუადღევს ვნახეთ პალეოსტომის ნაპირად მიმავალი 8 შეიარაღებული კაცი. ერთი მიდიოდა წინ. ამას ორი ბერდანა ეჭირა ხელში. ორს მიჰქონდა ტომრებით რაღაც მძიმე ნივთი, დანარჩენნი ბერდანებით მისდევდნენ. ყველას ყაბალახით თავ-პირი ჰქონდა ახვეულიო. როდესაც მისულან მეთევზეებთან „გამარჯობა,—გაგიმარჯოს“ შემდეგ უთქვამთ: „ერთი ჩვენი ამხანაგი მოჰკლეს ფოთში, მეორე დაგვიჭრეს და თუ თქვენ ქრისტიანები ხართ, ნურავის ეტყვით, რომ ამ გზით მივდივართო“.

ფოთში მოკლული კაცი აღმოჩნდა ოზურგეთის მაზრის სოფელ ლესას მცხოვრები ქრისტეფორე კუნჭულია. გამოირკვა, რომ კუნჭულიას და გათხოვილია გუჯაბიძეზე და სცხოვრობს ფოთში. ამის გამო გამოძიებას შეუდგნენ აქედან. გამოძიების დროს ელისაბედ გუჯაბიძემ განაცხადა, რომ ქრისტეფორე კუნჭულია ვნახე 20 ოქტომბერს მისის შვილის ნიკოლოზის ქორწილზე, მას შემდეგ აღარ მინახავსო. გამორკვეულა, რომ კუნჭულია 14 დეკემბერს ყოფილა მიხეილ ჭყონიასთან, სადაც აგრეთვე, შეკრებილან ნიკოლოზ გუჯაბიძე, ანტონ ჩხარტიშვილი, კოწია ჭელიძე და ხარლამპი კავჟარაძე. 15 ოქტომბერს კუნჭულია ყოფილა გუჯაბიძესთან და კვაჭაძესთან ერთად როკუას დუქანში, ხოლო 19 დეკემბერს ელისაბედ გუჯაბიძისას, სადაც იმის შვილ ნიკოლოზთან არაყსაც შეექცეოდა თურმე. ნიკოლოზ გუჯაბიძეს 19 დეკემბერს წაუღია თან ერთი ბოთლი არაყი, ქოლგა და სადღაც წასულა. შინ მხოლოდ 23 დეკემბერს დაბრუნებულა. მეთევზის პავლე იურჩენკოს ჩვენებით აღმოჩნდა, რომ ნ. გუჯაბიძე 19 დეკემბერს ღამე მეთევზის ქოხში გაუთევვია. დილით იურჩენკო სათევზაოდ წასულა, ხოლო გუჯაბიძეს ისევ ისე სძინებია. როცა იურჩენკო ნაშუადღევს შინ დაბრუნებულა, გუჯაბიძეს ნავზე უნახავს მიმავალი ექვსი კაცი, რომელთაც იმის დანახვაზე ყაბალახებით შეუხვევიათ თავ-პირი.

მოკლულ კუნჭულიასთან დაახლოვებული ყოფილა დომენტი კვაჭაძე. ამის გამო ლანჩხუთის ბოქაული ქელბაქიანი 21 დეკემბერს მისულა ლესაში და კვაჭაძის საყვარლის ნამეტი ჩიქოვანის სახლს გარს შემოხვევია დარაჯები. დარაჯების ხმაურობაზე კვაჭაძე საცვლების ამარა გამოვარდნილა და გაქცევა დაუპირებია, მაგრამ დაუჭერიათ. ჩიქოვანის სახლის გაჩხრეკის დროს საწოლზე უნახავთ ტყვიით გატენილი ბერდანა და რევოლვერი. ბერდანის ლულა შიგნიდან ახლად დაცლისაგან შელანძული ყოფილა და თოფის წამლის სუნი სდიოდა. კვაჭაძის ტანისამოსი ტალახიანი აღმოჩნდა. გაჩხრეკის დროს ნამეტი ჩიქოვანს სველი ტყავის ტომარი ეზოს გადაღმა გადაუსვრია. ასეთივე ტომარი პალიოსტომის ტბასთან მეთევზეებს უნახავთ იმ ყაჩაღის ხელში, რომელიც რუხვს ჩოხაში ყოფილა გამოწყობილი. გამორკვეულა აგრეთვე, რომ კვაჭაძე 19 დეკემბერს ფოთში ჩასულა და 21 დეკემბერს დაბრუნებულა. შეუპყრიათ აგრეთვე კოწია ჭელიძე და ხარლამპი კავჟარაძე და ანტონ ჩხარტიშვილი, რომელნიც წინად ლეს კვაჭაძესთან ქეიფობდნენ. კოწია ჭელიძესა, ისიდორე მახარაძესა და თათარხან მამულაიშვილზე ეჭვი მიუტანიათ, რომ იმათ უნდა გაეძარცვათ თელავის გზაზე ფოსტა. ამის გამო ესენი ფოთის საპატიმროდან ტფილისში გადმოიყვანეს. ხაზინის გაძარცვის საქმეში ეჭვი მიიტანეს თავ. ალექსანდრე მაჭუტაძის მოსამსახურეზე, გრიგოლ ჩხარტიშვილზე. გამორკვეულა, რომ ჩხარტიშვილი ავაზაკობის ჩადენის შემდეგ სადღაც გადამალულა. 1903 წლის 5 იანვარს, როცა თავ. მაჭუტაძის სახლში გამოსაკითხავად პოლიცია მისულა, თავ. მაჭუტაძეს უთქვამს, ჩხარტიშვილი სახლიდან წავიდა, ხოლო რისთვის და სად—არ ვიციო. მახსოვს კი, რომ ჩხარტიშვილი დეკემბერში მოუშორებლად ჩემთან იყოო. გამოძიებით კი აღმოჩნდა, რომ 15 დეკემბერს ჩხარტიშვილი უნახავთ ფოთში, 21 დეკემბერს ლანჩხუთში ყოფილა. 1903 წელს, 25 თებერვალს ესტატე ქღენტს, თავ. მაჭუტაძის ყოფილ მოსახურეს გამოკითხვის დროს უთქვამს, რომ თავ. მაჭუტაძესთან 9 დეკებერს შეიკრიბნენ კოწია ჭელიძე და თათარხან მამულაიშვილი, რომელნიც თავადთან ერთად გეგმას ადგენდნენ, როგორ უნდა გაეძარცვათ ფოთის ხაზინა. გრიგოლ ჩხარტიშვილი ეხლაც თავ. მაჭუტაძის სახლში იმალებაო. როცა ქღენტისათვის წარუდგენიათ ჭელიძე და მამულაიშვილი, განუცხადებია, ესენი თავ. მაჭუტაძის სახლში არასოდეს არ მინახავსო. 1 მარტს, ღამე, გამომძიებელს თავ. მაჭუტაძის სახლი გაუჩხრეკია. გრიგოლ ჩხარტიშვილი თავადის საწოლ ოთახში უნახავთ დამალული. თავ. მაჭუტაძეს ჯიბეში აღმოაჩნდა ჩხარტიშვილის ხელით ქართულად დაწერილი ბარათი. ამ ბარათით ჩხარტიშვილი ატყობინებდა, რა ეთქვა თავადს პოლიციისათვის ჩხარტიშვილზე.

ზემოდ დასახელებულნი პასუხის გებაში მისცეს. არც ერთმა გამოძიების დროს თავი დამნაშავედ არ აღიარა. დომენტი კვაჭაძეს, ანტონ და გრიგოლ ჩხარტიშვილებს, კოწია ჭელიძეს, ხარლამპი კავჟარაძეს და ისიდორე მახარაძეს ის ბრალი ედებათ, რომ ისინი ბერდანებითა და რევოლვერებით შეიარაღებულნი შეცვივდნენ ფოთის ხაზინაში, მოიტაცეს 30,810 მან. 48 კაპ. და გაძარცვეს ხაზინაში მყოფნი; ნიკოლოზ გუჯაბიძეს ჰბრალდება ის, რომ შემწეობა აღმოუჩინა ყაჩაღებს მდინარე პიჩორაზე გადასვლის დროს, და თავ. ალექსანდრე მაჭუტაძეს ის, რომ ერთი ბრალდებული გრიგოლ ჩხარტიშვილი თავის სახლში დამალა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ოქტომბერი

ასტრახანი. ყალმუხის მინდვრების საქონლისა და ცხენის მომშენებელთა კრება დაიწყო.

ჸრალსკი. სადგურზე, ღამით, რიაზან-ურალის რკინის გზის ელევატორთან ხორბლის შესანახში ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა 80 ვაგონი ხორბალი და 40 ვაგონი შვრია.

რიაზანი. სამაზრო საერობო კრებამ დაადგინა, მუქთად უექიმონ საერობო ხარჯის გადამხდელთ. საერობო წარმომადგენლობის შესახებ დაადგინა, მოსპონ წოდებათა საარჩევნო განსხვავება და შეამცირონ ცენზი.

მალმიჟი. საერობო კრებამ დაადგინა, გაახსნას 60 ახალი ბიბლიოთეკა, მოაწყოს შინა მრეწველობის გამოფენა და საგუბერნიო კრების წინაშე შუამდგომლობა აღძრას საგუბერნიო გამოფენის გამართვის შესახებ.

რომი. ხელმწიფე იმპერატორის წერილში იტალიის მეფის მიმართ შემდეგი სიტყვები არის: „დიდად ვწუხვარ, რომ უკვე გადაწყვეტილი მგზავრობა გადავდევი შემდეგ დროისთვის; ვისურვებ, რომ ეს მგზავრობა ადრე მოჰხდეს“. წერილი მიართვა მეფეს თავადმა დოლგორუკმა.

ბელგრადი. სკუპშჩინის სესია დაიწყო. პრეზიდენტად ისევ სტოიანოვი აირჩიეს. საადრესო პროექტში ნათქვამია: ბედნიერია სკუპშჩინა, რომ მეფის სურვილი ეთანხმება ხალხის სურვილს და ბეჭითად დაცულია კავშირი სერბიასა და რუსეთ შორის; ეს კავშირი უტყუარი თავდებია სლავიანთა ხალხის უკეთესი მომავლისა.

ტოკიო. რუსეთსა და იაპონიას შორის მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ გათავებულა. აღარ გვაქვს ახლა საფუძველი ეჭვით ვუყუროთ მოლაპარაკების მშვიდობიანად გათავებას. გამოირკვა, რომ იონჩამპოში რუსებს ფორტი კი არ აუშენებიათ, არამედ სასიგნალო სადგური ანტუნგოში ცნობების გადასაცემად.

ვაშინგტონი. სამხედრო მინისტრმა ბრძანება მისცა შანჰაიაში მდგომ ამერიკის ორ გემს, გადავიდნენ ფორმოზში და იქ ელოდნენ ინსტრუქციას.

3 ოქტომბერი

პეტერბურგი. გენერალი გრომჩევსკი დაინიშნა ასტრახანის გუბერნატორად და ასტრახანის ყაზახთა ჯარის ატამანად.

ხარკოვი. იზიუმის საერობო კრებამ გამოსთქვა აზრი, რომ საარჩევნო ცენზი 250-ის მაგიერ 200 დესიატინა იქმნეს; სხვა ქონება 15 ათასის მაგიერ 12 ათასი.

ასხაბადი. რუსის კონსული იტყობინება მეშხედიდან, რომ შაჰის მთავრობამ აკრძალა ხორასნიდან და სეისტანიდან ცხვრისა და ერბოს გაზიდვა. ეს ბრძანება 19 ოქტომბრიდან შედის ძალაში.

ვორონეჟი. საერობო კრებამ გამოთქვა აზრი, რომ ცენზი განახევრებულ უნდა იქნეს და თითო ვოლოსტიდან თითო გლეხი უნდა იქმნეს ხმოსნადო.

ვლადიმირი. მაზრის საერობო კრების აზრით, ცენზი 100 დესიატინა უნდა იქნეს, ქალაქებში 10.000 მ., არჩევანში ქალებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობასო.

სოფია. საზღვარზე ახალი ინციდენტი მოხდა. ოსმალეთის რაზმი დაედევნა აჯანყებულთა რაზმს და დემირსაგოვოს ახლო, სამოკოვის ოლქში, გადავიდა ბოლგარიის ტერიტორიაზე, სადაც შეტაკება მოხდა. ბოლგარელი ჯარის-კაცები ჩაერივნენ საქმეში. რამდენიმე კაცი მოჰკვდა და 6 დაიჭრა. სათადარიგო ჯარს დაითხოვენ 10 ოქტომბერს. პეტკოვი დაბრუნდა პროვინციიდან და მოახსენა მთავარს, რომ მთავრობის გამარჯვება უზრუნველ ყოფილა. პეტკოვი ისევ მიდის სამხრეთ ბოლგარიაში. მინისტრებ შორის სრული თანხმობაა.—სტანჩევი დროებით ჩამოვიდა ცოლ-შვილით; ნოემბრის პირველ რიცხვებში სტანჩევი ისევ დაბრუნდება თავის ადგილას.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა 18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3 სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2 სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2 სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 3). წ. სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 3 წ. (2 ს 1 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ. 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.; 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ.) (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

შორაპნის მაზრის შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 9 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, საბჭოს სადგომში, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომლის დროსაც გაიცემა სამუშაოები ხიდის გასამართავად მდინარე ყვირილაზე ჭიქოურში. პირობების გაგება შეიძლება საბჭოს კანცელარიაში. (2—6.—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ქალაქის უმთავრესს სამკურნალოსთან (მუხრანის ქუჩა) ბებია-ქალთა ურთი-ერთ დამხმარებელმა საზოგადოებამ დააწესა ბებია-ქალთა მორიგეობა დღისით და ღამით. ბებია-ქალთ პირველი შემწეობა უნდა აღმოუჩინონ მშობიარეთ და ფეხ-მძიმეთ. ყოველ რჩევისა და შემწეობისათვის აიღებენ ერთ მანეთს. ეს ფული გადაეცემა ხსენებულ ბებია-ქალთა საზოგადოებას, რომელმაც ასეთივე მორიგეობა დააწესა საბებიო ინსტიტუტთან. (3—6.—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

კრემ ამიკოს (CRÉME AMYKOS)
ჰიგიენური საშუალება პირის კანისათვის
იხმარება პირის კანის გასაწმენდად მუწუკებისაგან, მეჭეჭისაგან და სხვ. უმთავრესად გამოსადეგია არტისტებისთვის გრიმის მოსპობის შემდეგ სახმარებლად, რადგან კარგად ასუფთავებს პირისახეს გრიმისაგან.
ფასი ერთის ბანკისა 1 მ. 25 კ.; 2 ბანკის ფასი გაგზავნით 3 მან., უნდა გამოიწეროთ პირდაპირ გამომგონისაგან: სავაჭრო სახლი, პარფიუმერიის ლაბორატორია ი. გოლლენდერ, პეტერბურგი, რაზიეზჟაია, № 13 (4—6.—1)

[illegible] წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).